





ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“

ღია მმართველობა

2018 წლის მაისში, ლანჩხუთში ჩატარდა “მუნიციპალური სერვისების მინოდების და მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხის კვლევის” პირველი ეტაპი. კვლევის გეოგრაფია მოიცავდა ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე არსებულ 52 ძირითად და 26 არაძირითად (შესახვევი, ჩიხი) ქუჩას. თითოეული ქუჩა შეფასდა კვალიფიციურ დამკვირვებელთა მიერ, ასევე გამოიკითხა 300 ადამიანი.

საგაზეთო ჩანართი №1


როგორია თქვენი ქუჩის მდგომარეობა სისუფთავის თვალსაზრისით (პროცენტები)



ქუჩის მდგომარეობა სისუფთავის თვალსაზრისით სხვადასხვანაირად შეფასდა უბნების მიხედვით, კერძოდ გამოიკითხულთა 26.7% თვლის, რომ სისუფთავის მხრივ ცუდი მდგომარეობაა ცენტრსა და ორაგვისდელის უბნებში.


გამოკითხულთა 56% თვლის, რომ ქალაქში ქუჩების სისუფთავის მდგომარეობა საშუალოა, 26% ქუჩების სისუფთავეს დადებითად აფასებს, 18%-ს კი მიაჩნია, რომ ქუჩების მდგომარეობა სისუფთავის თვალსაზრისით ცუდ მდგომარეობაშია.

სავალი გზების მდგომარეობა



გამოკითხულთა 45% უკმაყოფილოა მათ კონკრეტულ ქუჩაზე სავალი გზის მდგომარეობით, საშუალოდ აფასებს 32%, მხოლოდ 23% თვლის, რომ სავალი გზების მდგომარეობა კარგია.

როგორია სავალი გზების მდგომარეობა თქვენს ქუჩაზე? (პროცენტები)




სავალი გზების მდგომარეობას ყველაზე უარყოფითად აფასებენ აგარაკის 55,7% და ორაგვისდელის 53,3% უბნების მცხოვრებლები.

დადის ნაგვის მანქანა თქვენს ქუჩაზე გრაფიკის მიხედვით? (პროცენტები)



ნაგვის მანქანის მოძრაობით ყველაზე უკმაყოფილონია აგარაკის უბნის მცხოვრებელნი


ნაგვის მანქანის გრაფიკი



გამოკითხულთა 93% თვლის, რომ ქალაქში, კონკრეტულად მათ უბანში ნაგვის მანქანა გრაფიკის მიხედვით დადის.


CLEAN YOUR CITY

როგორ შეაფასებდით ქუჩაზე გარე განათებას? (პროცენტები)



გამოკითხულთა 54%-83% თვლის, რომ გარე განათება მათ უბნებში მოწესრიგებულია, მხოლოდ გამოკითხულთა 1,1%-4,4% თვლის, რომ გარე განათება მათ უბნებში მოუწესრიგებელია.

გარე განათება




ქუჩების განათებას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 71%, მხოლოდ 27%-ს მიაჩნია, რომ გარე განათება არასაკმარისია მათ ქუჩაზე.



გამოკითხულთა 46%-ს მანანწალა ძაღლების პრობლემას უსვამს ხაზს. მანანწალა ძაღლების პრობლემებზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ცენტრის (62%), აგარაკის (60%) და ორაგვისდელის (43%) უბნებში მცხოვრები გამოკითხულები.

46%



გამოკითხულთა 43%-ი უმეტესად ყურადღებას უსვამს ხაზს. მოხეტიალე პირუტყვის პრობლემებზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ორაგვის დელის (95%) და ცენტრის (65%) უბნებში მცხოვრები გამოკითხულები.

43%



აშკარად გამოკვეთილია ქუჩაზე ტროტუარების და ავტოსადგომების მოწესრიგების საჭიროება ქალაქის ყველა უბანში. გამოკითხულთა 85% თვლის, რომ ქუჩაზე ტროტუარების და ავტოსადგომები მოუწესრიგებულია.

85%



გამოკითხულთა უმრავლესობა 44% თვლის, რომ იცის ვის მიმართოს ქუჩის პრობლემების მოსაგვარებლად და ქუჩის საჭიროების მიწოდება შესაბამის ინსტიტუტებთან რეგულარულად ხდება. უბნების მიხედვით განსხვავებული შედეგი მივიღეთ აგარაკის უბანში, სადაც გამოკითხულთა 53% ამბობს, რომ არ იცის თუ ვის მიმართოს ქუჩის პრობლემების მოსაგვარებლად.

44%

პროექტი „ელექტრონული მექანიზმები ღია თვითმმართველობისათვის“ ხორციელდება „ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი პროგრესის სახლი“-ს მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის ფარგლებში.

საგაზეთო ჩანართის დამზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

ჩანართის შინაარსზე პასუხისმგებელია „პროგრესის სახლი“. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან/და EWMI-ს შეხედულებებს.

USAID | GEORGIA
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

საერთაშორისო საზოგადოების განვითარებისა და მომსახურების ჩართულობის პროგრამა
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)